გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №93

2025 წლის 8 აგვისტო

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (ს/კ 66.45.18.160) პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 20 მაისს შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის სახლ–მუზეუმის მიმდებარედ ს/კ 66.45.18.160 მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2025 წლის 23 მაისის N105-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, გორში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.160, დაზუსტებული ფართობით - 218.00 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, სტალინის სახლმუზეუმის მიმდებარე ტერიტორია) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 92,700.00 (ოთხმოცდათორმეტიათას შვიდასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.160 ფართობით 218 კვ.მ უძრავი ქონების, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით

გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გორში, სტალინის სახლ–მუზეუმის მიმდებარედ) მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.160 საერთო ფართობით 218 კვ.მ., გაცემული იქნეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 3 (სამი) თვის ვადით, კომერციული საქმიანობის მიზნით, კერძოდ ღია კაფის (მხოლოდ მაგიდებისა და ქოლგების განსათავსებლად) და საბავშვო მინი ატრაქციონების მოსაწყობად.
2. მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.18.160 საერთო ფართობით 218 კვ.მ., საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 92,700.00 (ოთხმოცდათორმეტიათას შვიდასი) ლარით.
3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 4800 (ოთხიათას რვაასი) ლარის ოდენობით.
4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემულ იქნეს ღია კაფის (მხოლოდ მაგიდებისა და ქოლგების განსათავსებლად) და საბავშვო მინი ატრაქციონის მოსაწყობად. მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თავისი ხარჯებით, მოახდინოს მუნიციპალური ქონების გამოთავისუფლება და ჩაბარება პირვანდელ მდგომარეობაში. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).
5. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვის ვადით.
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე